№ 51
ხუთშაბათი, 9 მარტი, 1900 წ.

გაზეთის ფასი:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 51
ხუთშაბათი, 9 მარტი, 1900წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ". განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21.

## ტფილისის სობრანიე.

შაბათს, 11 მარტს, 1900 წ. გაიმართება

## კ ო ნ ც ე რ ტ ი
## კ. ფ. გურამიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ ი. მ. მატკოვსკი და მ. ვ. სერბულოვი. როიალი ბეკკერისა.

ბილეთები ისყიდება მირიმანიანის სამუსიკო მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზედ. (4—65—3)

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 9 მარტს,
ქართულ დრამატიულ დასის არტისტებისაგან ბ-ნ ალექსი-მესხიშვილის და ქ-ნ ჩხეიძის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება

## ცხოვრების გმირი

დრამა 3 მოქმედ.

დ ა ს ა ს რ უ ლ

## დივერტისმენტი

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი ჩხეიძე, გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელი და ბ ნნი ალექსი-მესხიშვილი, აბაშიძე, ყიფიანი, გედევანოვი, შათირიშვილი, ადამიძე და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე.

ბილეთები ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, წარმოდგენის დღეს—თეატრის კასაში. (3—უ.—3)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1\frac{1}{2}$—2 ს. შინაგანი ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—$7\frac{1}{2}$ საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

დ ი ლ ი თ:

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6-დის.

**გ. ბ. მალალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10\frac{1}{2}$—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**გ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. გეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1\frac{1}{2}$—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

საღამოთი:

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მ. ა. გედევანიშვილი

ტფილისი, 8 მარტი

დღესა თუ ხვალ ჩვენში შემოღებულ იქნება ეგრედ წოდებული სახელმწიფო გადასახადი ადგილ-მამულისა (Государственный поземельный налогъ). ეს ის გადასახადია, რომელიც ყოველს წელიწადს უნდა იხადონ მამულის პატრონებმა და სამუდამოდ მფლობელებმა სახელმწიფოს სასარგებლოდ იმ მამულების კვალობაზე, რაც ხელთ უჭირავთ და სახმარისია. არის მეორე გვარიც ადგილ-მამულის გადასახადი, რომელსაც საერობო (поземельный налогъ земскаго сбора) ჰქვიან. სახელმწიფო გადასახადი შეადგენს ხაზინის კუთვნილებას საერთო სახელმწიფო ხარჯების გასაძლოლად. საერობო გადასახადი-კი იკრიბება საერობო საჭიროებისათვის სახარჯოდ.

ერთიც და მეორეც გადასახადი საყოველთაოა ყველა წოდებისათვის გამოუკლებლად, რაკი მამულის პატრონნი და მფლობელნია: გლეხი, თავადი, აზნაური, მღვდელი, ერი,—ყველა ვალდებულია იხადოს ეს ორ-გვარი გადასახადი, და ამით არის შესანიშნავი და სამართლიანი, რომ ტვირთს ხარჯის ხდისას და გაძლოლისას შეტოლებით ყველას კისრად სდებს და ერთს წოდებას არა ჰხდის მეორე წოდების შესანახად და ბარგად. გარდა ამისა, ეს ორ-გვარი გადასახადი მით უფრო შესაფერი და სამართლიანი, რომ მდიდარს მდიდრულად ართმევს გადასახადს და ღარიბს ღარიბულად, რადგანაც საადგილ-მამულო გადასახადს, როგორც ყოველს სხვას, მოსავალზე გაანგარიშებულს, საფუძვლად დადებული აქვს მარტო შემოსავალი ქონებისა თუ მამულისა და სხვა არაფერი.

საერობო გადასახადი ადგილ-მამულისა ჩვენს თავად-აზნაურთათვის ახალი ამბავი არ არის. იგი იხდის ამ გადასახადს 1887 წლიდამ. ხოლო სახელმწიფო გადასახადი იქნება მათთვის ახალი. გლეხნი-კი ორსავ გვარს გადასახადს დღეს აქამომდე კომლეულობაზე იხდიან. ეხლა ამათთვისაც ორივე გადასახადი მამულის კვალობაზე იქნება დადებული და, ჩვენის ფიქრით, ამ გზით გლეხს

## ფელეტონი

### ა ხ ა ლ ი ს ა ქ მ ე

(სურათები სოფლის ცხოვრებიდგან)

(შემდეგი *)

### IV

ღამის ათი საათია. თოვს წყნარად. მთელი არე-მარე ბურუსში გახვეულა, ბნელა, კუკუმეთია. სანთლის შუქი აღარსაიდგან მოსჩანს. დღიურ შრომისაგან დამაშვრალ სოფელს ჩასძინებია. მხოლოდ ერთად-ერთი სერგო მარტირუზოვის ქვიტკირის სახლიღაა გაჩირაღდნებული, სადაც ამ ჟამად სოფლის მედუქნე-მოვაჭრეთ მოუყრიათ თავი, გრძელ ტახტზედ გაშლილ სუფრას შემოსხდომიან და ტკბილს ვახშამს შეექციავიან. უმიზეზოდ-კი არ შეკრებილან ესენი ამ დროს სერგოსთან. იმ ხმას, რომ მალე ქართველები სავაჭრო დუქანს გახსნიან, ვაჭრობას დაიწყებენ, არა მცირედ აღუშფოთებია და დამფრთხალ ჩიტუნებსავით ერთად შეუკრებია, თავი მოუყრია. ყველა ყველაა, მაგრამ სამსონს მაინც რაღა უნდა ამათ შორის. აქამდის თუ სამსონს ამ მედუქნეებთან არავითარი კავშირი არა ჰქონია „გამარჯობა-გაგიმარჯოს" მეტი, ეხლა იგი ყველასათვის საყვარელ კაცად გადაქცეულა.

— აბა, ძმებოჯან, აივსეთ სტაქნები, წამოიყრანტალა რუმბსავით გასიებულმა, ღიპ-გადმოვარდნილმა სერგომ და მუშტის ტოლ-ტოლა, ყველიპარია კატასავით ჭროლი თვალები დააჭყიტა ყველას. სახლის კეთილის ანგელოზისა დამილევია, ეხლა, როგორც თამადა გთხოვთ, დალიეთ სამსონის სადღეგრძელო. ღმერთმა მაგისი თავი გვიცოცხლოს, მაგისი იმედი და ნუგეში ნუ მოგვაკლოს.

— ამინ, ამინ, ტაშის ცემით მიეგებნენ ყველანი ამ სადღეგრძელოს და ყველამ მოცალა ჭიქები.

— აბა კლამპი, კლამპი არ გაუშვათ სტაქნებში, ფართი-ფურთობდა სერგო. სამსონჯან, შენ ეს მითხარი, რომელ დუქანში ჰხსნიან სავაჭროს, ან როდის დაიწყებენ?..

— სტეფანაანთ დუქანში, ანდრიას დუქნის პირდაპირ. ფულს მოაგროვებენ თუ არა, მაშინვე ქალაქში წავლენ სავაჭრო საქონლის მოსატანად. ასე გონია გაუზეპირებიაო, სხაპა სხუპით დააყარა სამსონიმ.

— სერგო, აკი გუშინაც გელაპარაკე, ეგ საქმე ჩემმა ძამ ჩემს ჯიბრზე მოიგონა, თორემ სწორედ ხალხის დარდი აქვს, იმათის ჯავრით ლუკმა პური ველარ შეუჭამნია აი.

— მერე, მერე, ერთი ესეც მითხარი, სამსონჯან, აგრემც მამის სული არ წაგიწყმდება, რა თანხით აპირობენ ვაჭრობის დაწყებას? შეეკითხა ისევ სერგო.

— როგორც მე მაგათ კოჭებში უყურებ, ბარაქალა, თუ ორასი თუმანი მოაგროვეს, თორემ ისეთი დაბმული გიჟი ვინ იქნება, მაგათ ფული ჩაუგდოს ხელში, დააბოლოვა სამსონმა თავისი სიტყვა ცბიერის კილოთი დამსწრეთა გულის გასაკეთებლად და მოსაფხანად.

— ვა, ვა, ვა, ორასი თუმნით ხომ ერთ თვეზე აგვბარგავენ, ცხრამთას იქით გადაგვაცილებენ აქედგან. რაღა ეშველება ჩვენს ცოლსა და შვილს?! დაცინვის კილოთი სთქვა სერგომ, თუმცა გული სხვას ეუბნებოდა.

— ზოგი სტეპკოსა ჰკითხე. ის ასე ჰფიქრობს, რა წამს ხალხი დაინახავს, რომ ჩვენს „კავშირში" ყველაფერი იაფად იქნება და ყველა საქონელს დანიშნული ფასი ზედ ეწერება, მაშინვე ჩვენსკენ დარუვდებიან და დანარჩენ მედუქნეებს ჰკარტა გაუქრებათო. ერთ წელიწადზედ მოშლიან თავიანთ დუქან-ბაზარსა და გუდა-ნაბად მოკიდებულები გადიკარგებიანო. თითონაც რომ არ უნდოდეთ, ცოცხს მოუსვამთ და პანღურით გავრეკავთო, სთქვა ანდრიამ.

— ვა, მაშ ჩვენ ქვეყანაზე ცოცხლები აღარ ვიქნებით, პირში სული აღარ გვედგმება რაღა, სთქვა ისევ სერგომ. ისეთი სოფელი არ იქნება, ოცი ნათლიდედა არა მყვანდეს, თითო მოსახვევი რომ ვაჩუქო, იმათ დუქნისკენ აღარავის მიახედებენ...

— ეგეც არ იყოს, გააწყვეტინა სიტყვა ანდრიამ, მაგათ ვაჭრობისა რა იციან. ასე ჰგონიათ, აქაურ დედაკაცებს, თუ ერთი, გადაწყვეტილი ფასი უთხარით, უსათუოდ ივაჭრებენო, ის-კი არ იციან, იმათ თუ მთელი დღე არ იჩინჩალეს და ნათქვამ ფასს არ დაუკლეს კუჭი არ მოუთმენთ. ერთი სამად თუ არ დაუფასე და მერე არ დაუკლე, ორი გროშისას ვერ მიჰყიდი.

— ეგ ყველა, ყველაა, ჩაერია ლაპარაკში ახალგაზდა ბაზაზი შაქრო, მაგრამ თუ დაინახეს ერთი რომ საქონელი მაინც იქ იაფად იყიდება, აქაურ ხალხს ვერ ვიცნობ, ყველანი იქითკენ გაიწევენ.

— ჰა, ჰა, ჰა, შენ ჯერ ჯეილი ხარ, ჩემო შაქრო, მიუბრუნდა ისევ სერგო. იმისთანა საქონელს განა ჩვენ მაგათზე იაფად ვერ გავყიდით, სამაგიეროდ თვალის ახახვევ სავაჭროში დავაბრმავოთ მუშტარი და ერთი ორად მივყიდოთ. ეგეც არ იყოს, ხო იცი აქაურებს ჩოთქისა არა გაეგებათ რა. შენც დასაქმე სალოკ თითს.

— განა კოკა ყოველთვის წყალს მოიტანს?—სთქვა ამოოხვრით შაქრომ: მაგათ იმდენი ნასწავლი ხალხი შეუყრიათ, რომ ერთხელაც არის ჩვენს ოინებს გაიგებენ, გამოაშკარავებენ და მერე ჩვენ ვიღა მოგვეკარება.

— რა გული გაგტეხია, შაქრო. ეხლანდელს დროში ნასწავლი და უსწავლელიც ყველა თავის ჯიბეს ჩასცქერის. რო დაინახვენ, ამხანაგობაში ხეირი ვერა ვნახეთო, ახლოც აღარ მიეკარებიან თავიანთ დუქანს, ისევ ჩვენსკენ იბრუნებენ პირს, თუ ჩვენ ერთმანეთს მხარს დაუჭერთ. იმ დღეს ეს ამბავი ჩემს სიძეს ველაპარაკე და ისიც მზად არის აქ ჩამოიტანოს თავისი დუქანი. აბა მაშინა ვნახოთ,

*) იხ. „ივერია" № 50.

ეხლა მაინც ცოტა თუ ბევრი შეღავათი მიეცემა, რადგანაც გვგონია, რომ კომლეულობითი გადასახადი დღეს მეტი მოსდის, ვიდრე ადგილ-მამულის გადასახადი მოუვა. გვგონია, რომ ორთაშუად გლეხს იმდენი მამული არ უჭირავს, რომ ადგილ-მამულის გადასახადი დღევანდელ კომლეულობითს გადასახადზე ნაკლები არ შეხვდეს, რაკი გადასახადი მამულზე გავა.

იქნება ამაში ვცდებოდეთ და ჩვენ არავის არ ავუხირდებით, თუ ამაზე სიტყვას ვინმე შემოგვიბრუნებს. ჩვენი დღევანდელი საგანი ის-კი არ არის თუ—ვისთვის იქნება საპჯობინარი ეს გადასახადი და ვისთვის არა. ჩვენ დღევანდელ წერილის საგნად აგვიღია მარტო ის, რომ გამოვარკვიოთ,—საადგილ-მამულო გადასახადი რა ბუნებისაა და რაზე უნდა იქმნას აგებული, რომ თავისი დანიშნულება, საფუძვლიანობა და სამართლიანობა არ დაეკარგოს.

საადგილ-მამულო გადასახადი იმავე არსებისაა, რაც სხვა ყოველი გადასახადი, რომელსაც ერთობ ეძახიან გადასახადს შემოსავლისას (ПОДОХОДНЫЙ НАЛОГЪ) და რომელიც პირდაპირთა გადასახადთა შორის უფრო სამართლიანია და უფრო სასურველად ცნობილი მეცნიერებისაგან. კომლზე გადასახადი, როგორადაც დღევანდლამდე ჩვენშია, ანუ ქუდზე კაცად, როგორადაც აქამდე იყო რუსეთში, მეტ-ნაკლებობას ქონებისას არ დაგიდევდათ, იმიტომ-რომ ხარჯის მხდელი იყო კომლი, ანუ ქუდზე კაცი იმისდა მიუხედავად,—რა ქონებისაა ან ერთი, ან მეორე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხარჯის ფული ერთნაირად გაიწერებოდა ხოლმე ან კომლეულად ან ქუდზე-კაცად და მერე თვით ხარჯის მხდელებზე იყო მინდობილი გაწერილი ფული გაინაწილონ ერთმანეთში, როგორც უნდათ და ამ განაწილებაში ღარიბი უფრო იჩაგრებოდა, ვიდრე მდიდარი. ეხლა-კი განზრახულია ეს პირდაპირი ხარჯი ახდევინონ მარტო ქონების გვალობაზე. თვით სახელწოდება საადგილ-მამულო გადასახადისა გვაჩვენებს, რომ აქ ქონებად იგულისხმება ადგილ-მამული და არა სხვა რაიმე მოძრავი გუთვნილება და მარტო ამით განირჩევა სხვა იმ გვარ პირდაპირ გადასახადისაგან, რომელსაც ჩვენ ერთობ გადასახადი შემოსავლისა ვუწოდეთ ზემოდ.

რადგანაც საადგილ-მამულო გადასახადი ერთი დარგია ერთობ შემოსავლის გარდასახადისა და განირჩევა სხვისაგან მარტო მით, რომ აქ გადასახადს საქმე მარტო ადგილ-მამულთანა აქვს და არავითარ სხვა ქონებასთან, ამიტომაც ძირეული საგანი საადგილ-მამულო გადასახადის სისტემისა, მისი ქვა-კუთხედი უნდა იყოს მხოლოდ წმინდა შემოსავალი ადგილ-მამულისა. სახელმწიფომაც და ერობამაც აქედამ უნდა ართვან მამულის პატრონს და მფლობელს თავიანთი ნაწილი და მამულის პატრონსაც ამაში უნდა ჰქონდეს ღონე ხარჯის ხდისა და გაძლოლისა. სხვაფრივ საადგილ-მამულო გადასახადი არამც თუ არ აიგება, არც-კი იგულისხმება.

მაშასადამე, საადგილ-მამულო გარდასახადის პირველ და უკანასკნელ ხარისხის საგანი წმინდა შემოსავლის აღნუსხვა და გამორკვევაა. უამისოდ იგი ერთ ბიჯსაც ვერ წარსდგამს თავისის დანიშნულების განსახორციელებლად. რასაკვირველია, შესაძლოა აიღოს კაცმა და სთქვას: აი დღიურზედ ამდენი იხადეო, მაგრამ თქმა და ქმნა ერთი და იგივე არ არის. მართალია, მრთმეველს ყოველთვის ის სურვილი ამოქმედებს, რომ მეტი ართოს, მაგრამ არც მძლეველი უნდა იყოს ამ შემთხვევაში დავიწყებული, რადგანაც ამასაც ის სურვილი აქვს, რომ რაც შეიძლება ნაკლები აძლიოს.

რადგანაც ბუნება საქმისა ერთის იქითა სძლევს და მეორეს აქედ, ერთად-ერთი ღონე მორიგებისა და ერთმანეთში განწყობისა ამ შემთხვევაში ის არის, რომ ორივენი იმაზე შესდგნენ, რაც შესაძლებელია ერთისაც და მეორისათვისაც. ამ შესაძლებელს მარტო ნამდვილად გამორკვეული და გამოძიებული წმინდა შემოსავალი ადგილ-მამულისა გვაჩვენებს მხოლოდ. იმიტომ-რომ წმინდა შემოსავალი ერთის მხრით თუ წყარო იმ ნაწილისა, რომელიც გადასახადად გამოსართმევია, იმავე დროს ძალ-ღონეა ხარჯის მხდელისა, რომლითაც იგი გაუჭირვებლივ უნდა უძლვებოდეს გადასახადს. ეს ორი თვისება საადგილ-მამულო გადასახადისა ერთმანეთთან განუყოფელად შეთვისებულია. ერთს ვერ განაშორებთ მეორისაგან ისე, რომ მთელი აგებულება და შენობა საადგილ-მამულო გადასახადის სისტემისა არ დაიფუშოს და წყალს წასაღებად არ მიეცეს. ამასთან ისიც სათქმელია, რომ სისტემა საადგილ-მამულო გადასახადისა, როგორც ყოველისავე სხვისა, ნაკლებად გაწერას-კი აიტანს და გადაჭარბებით-კი ვერა. ამიტომაც წმინდა შემოსავალს ადგილ-მამულისას წინდახედული და გონივრული საფინანსო სისტემა დიდის სიფრთხილით, დიდის გამოძიებით და შიგ ჩახედვით იკვლევს. და თუ გაჭირდა და საქმის ვითარების გამო ნამდვილი ვერ გამოარკვია ზედ-მიწევნით, უფრო ადვილად ჰრჩეობს ნაკლებ შემოსავალზე დასდგეს, ვიდრე საეჭვოდ განდიდებულზე.

რადგანაც ნაკლებ შემოსავალზე დამყარება ამ შემთხვევაში მოასწავებს დაკლებას სახელმწიფო თუ საერობო შესავლისას, გვეტყვიან, რომელი ფინანსთა სამინისტრო გასწევს ამისთანა უანგარიშობასაო? ჩვენ ვუპასუხებთ: ყოველი იგი სამინისტრო, რომელსაც იმოდენა გონება აქვს იცოდეს, რომ სახელმწიფოს თუ ერობის გამდიდრება არ შეიძლება აშენდეს ხარჯის მხდელთა გაღარიბებასა და გათახსირებაზე. ეს იმას ეგვანება, რომ კაცმა კვერცხის გამოღების სიხარბით ქათამი დაჰკლას.

## მთავრობის განკარგულებანი

**გეგმა 1900 წლის ტფილისის გუბერნიაში გასამიჯნავ მიწებისა, შედგენილი სამოსამართლო პალატის გამმიჯნავ საკრებულოს მიერ ამა წლის 11 თებერვალს და დამტკიცებული სასჯულო საქმეთა მინისტრისაგან თებერვლისავე 25-ს.**

(შემდეგი *)

გამიჯვნის მუშაობანი დაიწყება:

გორის მაზრა.

საამილახვრო. მაისში. გამმიჯვნელია იგივე.

27, სოფ. ორჩაშანი. აღსრულებულ იქმნება სასამართლოს გარდაწყვეტილება და გაიყოფა მიწები. სექტემბერში. გამმიჯვნელია იგივე.

28, სოფ. იგუეთი. აღსრულებულ იქმნება მორიგების წერილი და მიწების გაყოფა. სექტემბერში. გამმიჯვნელია იგივე.

29, სოფ. საჯავახო. აღსრულებულ იქმნა მორიგების წერილი. მაისში. გამმიჯვნელი იქმნება უფროსი მიწის მზომელი მარიშევი.

30, სოფ. ყელქცეული. ივნისში. გამმიჯვნელია იგივე.

31, სოფ. ძლევის-ჯვარი. ივნისში. გამმიჯვნელია იგივე.

32, სოფ. ფხვენისი. ივნისში. გამმიჯვნელია იგივე.

33. სოფ. შერთული. აღსრულებულ იქმნება სასამართლოს გარდაწყვეტილება. მაისში. გამმიჯვნელი იქნება უმცროსი მიწის მზომელი ივანოვი.

34, სოფ. მარანა. ივნისში. გამმიჯვნელია იგივე.

35, სოფ. ტყვიავი. ივლისში. გამმიჯვნელია იგივე.

36, სოფ. დიდი მეჯვრისხევი. მიწის პატრონთ სადავო გეგმა წარედგინებათ ხელმოსაწერად. მაისში. გამმიჯვნელი იქნება უფროსი მიწის მზომელი ხოლინი.

37, სოფ. არკნეთი. ახალი გამიჯვნა. გამმიჯვნელია იგივე.

38, სოფ. ნული. მაისში. გამმიჯვნელია იგივე.

39, სოფ. ყორნისი. ივლისში. გამმიჯვნელია იგივე.

40, სოფ. დვანი. სექტემბერში. გამმიჯვნელია იგივე.

41, სამაჩაბლო. გამიჯვნის განგრძობა. მაისში. გამმიჯვნელნი იქნებიან უფროსი თანაშემწე მიწის მზომელისა ალბატი და უმცროსი თანაშემწე—ცინცაძე.

42, საფალავანდო. მაისში. გამმიჯვნელი იქნება მიწის მზომლის თანაშემწე მარაქოვი.

43, სოფ. ქემფერი. აღსრულებულ იქმნება სასამართლოს გარდაწყვეტილება და გაყოფა მამულებისა თანახმად გამიჯვნის წესდების მე-89 მუხლისა. მაისში. გამმიჯვნელია უმცროსი მიწის-მზომელი კალეუხოვი.

სოფ. ოსიაური. მაისში. გამმიჯვნელია იგივე.

44, სოფ. ნაბახტევი. აღსრულებულ იქმნება სასამართლოს გარდაწყვეტილება და გაყოფა მამულებისა. ივლისში. გამმიჯვნელია იგივე.

45, სოფ. ბელლეთი და ბერკეული. აღსრულებულ იქმნება მორიგების წერილი. აგვისტოში. გამმიჯვნელია იგივე.

46, სოფ. ქვიშხეთი და ყიფიაანთ-კოშკი. აღსრულებულ იქმნება სასამართლოს გარდაწყვეტილება და გაყოფა მამულებისა. აგვისტოში. გამმიჯვნელია იგივე.

47, სოფ. გომი, იგივე დოლლაური. მაისში. გამმიჯვნელია მიწის მზომლის უფროსი თანაშემწე გრიგორიანცი.

48, სოფ. წვერი. გაყოფა ადგილებისა. ივლისში. გამმიჯვნელია იგივე.

49, სოფ. არაშენდა. აღსრულებულ იქმნება სასამართლოს გარდაწყვეტილება. ივლისში. გამმიჯვნელია იგივე.

50, სოფ. ძევერა. აგვისტოში. გამმიჯვნელია იგივე.

51, სოფ. დიდი და პატარა გარე-ჯვარი. აღსრულებულ იქმნა მორიგების წერილი. სექტემბერში. გამმიჯვნელია იგივე.

52, სოფ. კასპი. ოქტომბერში. გამმიჯვნელია იგივე.

53, სოფ. სათარხნო აღსრულებულ იქმნება მორიგების წერილი. გაყოფა და განახლება მე-42 №-ის მამულის სამზღვრებისა. გამმიჯვნელია მიწის მზომლის უფროსი თანაშემწე კორნეევი.

54, სოფ. კავთის-ხევი. აღსრულებულ იქმნება სასამართლოს გარდაწყვეტილება. მაისში. გამმიჯვნელია იგივე.

*) იხ. „ივერია“ № 50.

---

ვინ ვის აჯობებს. ორასი თუმნის ჯერ ბაღდადეულობა აქვს, ეგენი იმასთან რა კლანქს გაიწვდიან.

— მართლა?! შენს პირს შაქარი, სიხარულისაგან ანდრია ფეხზე წამოიჭრა: მაშ ეხლა ჩემი საქმე ალჩუზე ყოფილა. ის აქედგან მოექცეს, მე იქიდგან და იმათთან ერთ მუშტარსაც აღარ გავაჭაჭანებთ. მხოლოდ ნუ დაიგვიანებს, მალე ჩამოიტანოს საქონელი...

დიდხანს ითათბირეს, დიდი თანხები, დახმარება აღუთქვეს ერთმანეთს, რათა ერთის ძალ-ღონით გაჰმკლავებოდნენ საშიშარს მტერს. დაცინვითაც იხსენიებდნენ: „დუქანი და არშინი რა მაგათი საქმეა, მაგათ წიგნი და კალამი უნდა ეჭიროთ ხელშიო“, თან გულის სიღრმეში იჭვნეულობდნენ, ვინ იცის „ეშმაკს თვალი არ უჩანს“, „იქნება საქმე კარგათ წაიყვანონ და ჩვენ მშრალზე გაგვრიყონო“. სამსონიც დიდს დახმარებას დაჰპირდა მედუქნეებს: „ვეყანაზე გავაგდებ იმ აზრს, რომ მაგათ ყველაფერი უვარგისი, ნაყარნუყარი საქონელი აქვთ. ერთი ფასი იმიტომ მოიგონეს, რომ უფრო მოხერხებულად ჰყვლიფონ ხალხი. მე ვიცი, აქაური ხალხი არ დაიჯერებს თუ?!. რწყილს დააწვენენ და აქლემს აშობინებენ“... მედუქნეები თავისს მხრივ უხვ მოწყალებას დაჰპირდნენ.

....ქმრის მოსვლამდის არც ზენობიერს დასძინებია. ანდრია ბიძაშვილის სახლში დაბინავდა დროებით, ვიდრე ახალ სახლს აიშენებდა თავისათვის. ზენობიერმა ტახტზედ მიაწვინა ყმაწვილები, თითონ-კი გახურებულ ბუხარ წინ წინდის ქსოვას შეუდგა. ზენობიერის ხელები წინდის ჩხირებს ათამაშებდა, მაგრამ იმისი გული-კი ზღვას ეგეოდა. მთელი დღე ბუტბუტებდა, სწყევლიდა მაზლს, ქოქოლას აყრიდა. „შავი ჭირი გეცეს და ადრე და მალე თან გაგიტანოს, შე სახელ გასაქრობო. ამოვარდი ჩვენ გვარში, როგორც შენ დაგვაწიოკე. შე თვალ-გამოსახეთქო, გინდა დუქანიც მოგვაშლევინო, მაგრამ ღმერთი ხელს არ გაგითბობს, არ მოგიმართავს. რაღაც ეშმაკი და ქაჯი მოიგონე, გინდა გუდა მშიერი თავი იოლად წაიყვანო, გამოფხეკილი ჯიბე ქვეყნის ფულით გაიტენო, მაგრამ თუ ცოცხლები ვართ, დიდხანს არც შენ გაბოგინებთ. კბილის გამომჩხრეკი ბევრი გამოგიჩნდება“... ამ ფიქრებში იყო გართული ზენობიერი, რომ ანდრია შემოვიდა და ისიც ტახტზედ ჩამოჯდა ცეცხლა პირას.

— რა ჰქენით, ადამიანო, რა მოილაპარაკეთ, როგორ გადაწყვიტეთ, მისვლის უმალვე სხაპა-სხუპით მიეგება ზენობიერი ქმარს და წინდა გვერდზედ გადადო.

— საქმე კარგათ არის. ყველა აქაურმა მოვაჭრემ, მედუქნემ პირი შევკარით მაგათ თავისი არ გავაყვანინოთ. ყოველგვარი ღონე, ხერხი უნდა ვიხმაროთ, ოსტატურად უნდა მოვიქცეთ, რომ მაგათ ვაჭრობას უმუშტრობით სული შეუხუთოთ, ამოვაძროთ. სერგოს სიძეც, ავეტიქ მანუჩაროვი, გამოჩენილი ბაზაზი და მასთან ფულიანი, თურმე აქ აპირებს დუქნის გამართვას. მაშინ ხო იმათთან ერთ მუშტარსაც აღარ გავაჭაჭანებთ.

— იცი, ანდრიავ, რა მომივიდა ფიქრად?! მოდი რამდენიმე ერთგული დედაკაცი ვიშოვნოთ, პირასლმართის მოსაბრუნში დავაყენოთ, რომ სავაჭროდ მომავალი დედაკაცები ჩვენსკენ შემოაბრუნონ. აი თუნდა ჩვენი პურის მცხობელი ალათო. იმისთანა კილოიანი, მოსხლეტილი, მატრაკვეცა მოლაპარაკეა, ერთიც აღარავინ წაუვა ხელიდგან.

— ეგეც ხო კარგი, მაგრამ სანამ ეგენი ფულს მოაგროვებენ და საქონლის სავაჭროდ წავლენ, მე უნდა დავასწრო ქალაქში წასვლა, რომ ჩემს დუქანს ახალი შეშუდი მოვაშველო.

— ისე უყავ, ისე. ერთი მაგ ეშმაკის კერძის ოხტში-კი მოვიდეთ და მერმე თუნდა ჩემი დღენი შუაზე გაიყოს. მაგას უნდა ქვეყანაზე მხოლოდ ეგ იყოს, მაგან იპარპაშოს,—„აქაურ მედუქნეების დუხი უნდა გავაქროო“.

— მაგ საწყალსა ჰგონია, ასე თუ მოვიქე, ოქროს გვირგვინს წამომადგამენ თავზეო. ის-კი არ იცის, რომ სიკეთეს არავინ დაუნახავს. ათასგვარ ჭორებს მოუგონებენ, ლაფში გაჰსვრიან, ყელს გამოაჭრევინებენ.

— ჩემ წილ მოწყალე ღმერთსა ვსთხოვ, რომ მალე სანანურად გაუხდეს, თავისი კბილით თავისივე ხორცი აგლეჯინოს.

— დღეს ეს ნიშანი იყოს, ანდრიამ მაჩვენებლის თითით ჯვარედინად გახაზა ტახტზე დაფენილ ფარდაგზე: ეხლავე ხომ ალქაჯსა და გეშში ნაჯდომს ეძახიან, პატარა ხანი მოიცადოს, რეები არ დასწამონ...

სიტყვა არ დაეთავებინა ანდრიას, რომ ზენობიერს ერთი ცხვირი დააცემინა. „ღმერთო შენ გვიშველე!“ წამოიძახეს ცოლ-ქმართ და პირიჯვარი გამოისახეს. ზენობიერს პირისახეზედ სიამოვნების ღიმილმა გადაურბინა და სიხარულით ფეხზედ წამოდგა.

— ერთი ცხვირი მოვიდა, ნუგეშია, საქმე კარგათ იქმნება. წეღანაც მარჯვენა თვალი მიფრიალებდა. ი შენ კი გენაცვალე უფალო, მადლი მოგჭმე, რომ ყველაფერს სამართლიანდ განაგებ. ანდრიავ, მოდი ერთი ცხვარი დავაყენოთ ზვარაკად თელეთის წმინდა გიორგის სახელობაზე, ოღონდ ჩვენი საქმე კარგათ წავიდეს და ერთი ცხვარი იმის ჭირის სანაცვალო იყოს. გაზაფხულზედ ჩვენც წავიდეთ და ვილოცოთ.

ანდრიამ, რასაკვირველია, თანხმობა გამოაცხადა ზენობიერის წინადადებაზედ—ეხლა კი მოეშვათ ცოლ-ქმართ გულზედ, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ თუ თელეთის წმინდა გიორგში სალოცავად წავიდნენ, უსათუოდ ესენი გაიმარჯვებდნენ ამ შეჯიბრებაში. ზენობიერი ლოგინის გაშლას შეუდგა და მალე ტკბილად ამოუშვეს ხვრინვა ცოლქმართ. ძილშიაც ტკბილ-სანეტარო, სასიამოვნო სიზმარში გახვეულნი...

ე—ლი

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

55, სოფ. ნოსტო. გაყოფა მამულებისა. ივნისში. გამმიჯვნელია იგივე.

56, სოფ. კრობანი. აღსრულებულ იქმნება სასამართლოს გარდაწყვეტილება ივლისში. გამმიჯვნელია იგივე.

საციციანოს მამულები:

57; სოფ. საციციანო. აღსრულებულ იქმნება სასამართლოს გარდაწყვეტილება და გაყოფა მამულებისა თანახმად ამიერ-კავკასიის გამიჯვნის წესდების მე-89 მუხლისა. მაისში. გამმიჯვნელნი იქმნებიან უმცროსი მიწის მზომელი სტრუჩევსკი და მიწის მზომელის უფროსი თანაშემწენი გეურქოვი და კორნეევი, ეს უკანასკნელი ივლისში.

დოეჰი. მაისში. გამმიჯვნელნი არიან იგინივე.

სოფ. აკეთი. მაისში. გამმიჯვნელნი არიან იგინივე.

ქვენაფლავი. მაისში. იგინივე.

სოფ. ზემო და ქვემო ხვედურეთი. მაისში. იგინივე.

სოფ. აფნისი. მაისში. იგინივე.

სოფ. ლეთეთი. მაისი. იგინივე.

სოფ. ქარელი. მაისში. იგინივე.

სოფ. კეხის-ჯვარი. მაისში. იგინივე.

კლდუ. მაისში. იგინივე.

კრობანი. მაისში. იგინივე.

კინწვისი და ბედემი. მაისში. იგინივე.

ზღუდერი, იგივე კორაზნა. მაისში. იგინივე.

გოჩიანთ-კარი-კორაზნა. მაისში. იგინივე.

სათემო-ზვარი. მაისში. იგინივე.

სოფ. სანებელი. მაისში. იგინივე.

სოფ. აგარა. მაისში. იგინივე.

აგარა. მაისში. იგინივე.

მაწლეთი. მაისში. იგინივე.

სოფ. წრომი. მაისში. იგინივე.

სოფ. დიდი მეჯვრის-ხევი. მაისში. იგინივე.

# ახალი ამბავი

⁂ გუშინ, 8 მარტს, ტფილისის ოლქის სასამართლოს პირველმა სამოქალაქო განყოფილებამ განიხილა დავა ნასირბეგოვისა და ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკისა. როგორც ვუწყით, ბ-ნი ნასირბეგოვი ბანკს ედავება 39,000 მან. იმ გირავნობის ფურცლებისას, რომელიც მიუღია საკომისიოდ ბანკოში პ. რ. ყიფიანს. ნასირბეგოვის ინტერესებს იცავდა ნაფიცი ვექილი ბ-ნი ქალანთაროვი, ხოლო სათავად-აზნაურო ბანკისას ნაფიცი ვექილი ჩემესოვი. მოდავე-მოპასუხის ხანგრძლივ კამათის შემდეგ სასამართლომ ეს საქმე გადასდო, რადგან გადადება საქმისა ითხოვა ბ-ნმა ქალანთაროვმაც, რათა დრო მომეცეს და გავეცნო მოპასუხის ვექილის მიერ წარმოდგენილს საბუთებსაო, და ბ-ნმა ჩემესოვმაც, რომელმაც მოწმობა სთხოვა ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოდგან იმ ცნობის მისაღებად, რომ ბ-ნ ნასირბეგოვსა და პ. რ. ყიფიანს შორის მიწერ მოწერა იყოო და ბ-ნ ნასირბეგოვს ერევანში წერილი მიუვიდა პ. რ. ყიფიანისაგანაო.

⁂ დღეს, 9 მარტს, ტფილისის თავად-აზნაურთა თეატრში ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქმნება 3 მოქმედებიანი დრამა „ცხოვრების გმირი“. წარმოდგენაში, სხვათა შორის, მონაწილეობას მიიღებენ ვლადიმირ ალექსი-მესხიშვილი და ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა და ჩხეიძე. წარმოდგენის შემდეგ გაიმართება დივერტისმენტი.

⁂ როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, ფინანსთა სამინისტროს აზრადა აქვს შესცვალოს კანონ-დებულება ღვინის უგადასახადო და თავისუფალ ვაჭრობის შესახებ იმ გუბერნიებში, სადაც მევენეობას მისდევენ. სამინისტრო უკვე შესდგომია ამის შესახებ პროექტის შედგენას. პროექტით ასეთის ვაჭრობის ნება მიეცემა მევენახეთ, იმ პირობით-კი, რომ მათ მხოლოდ თავიანთ ვენახების ღვინო უნდა გაჰყიდონ იქვე ადგილობრივ.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაავალა ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროს ზედამხედველს ბ-ნს ა. ჯაბადარს წარუდგინოს დაწვრილებითი ცნობები დიდუბეში 29 თებერვალს ცეცხლისაგან დაზარალებულთა შესახებ. ზოგიერთ დაზარალებულთ გამგეობისათვის კიდეც მიუმართავთ და უთხოვნიათ, რომ ფულით დახმარება აღმოუჩინოს გამგეობამ.

⁂ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ ამ დღეებში დიდძალი სამეურნეო იარაღი გაგზავნა კახეთში.

⁂ პარიჟში ამ წლის სექტემბერს მოხდება რკინის გზათა საერთაშორისო კონგრესი. ამ კონგრესზედ წარმომადგენლებს ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობაც ჰგზავნის.

⁂ როგორც ოფიციალურ ცნობებიდგან სჩანს, წარსულ 1899 წ. 1 იანვრამდე ამიერ კავკასიაში გაუმიჯვნიათ სულ 8,570,827 დესეტინა მიწა, ასე რომ ერევნისა და შავი ზღვის პირის გუბერნიებში მიწების გამიჯვნა ამ ჟამად უკვე დასრულებიათ. გასამიჯნავად დარჩენილა ტფილისისა, ქუთაისისა და ბაქოს გუბერნიებში სულ 88,000 დესეტინა მიწა.

⁂ ამ ბოლო დროს ბევრმა მემამულემ მიჰმართა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას და სთხოვა ამერიკულ ვაზის ნერგები. სამწუხაროდ საზოგადოება ყველას უარს ეუბნება, რადგანაც ასეთი ნერგები არა აქვს. როგორც „კავკ.“-ი იუწყება, ამერიკულ ვაზის ნერგები აღარც საქარის სანერგეში ჰქონია.

⁂ ორშაბათს, 6 მარტს, ქალაქის გამგეობამ, განიხილა რა არზუმანოვის განცხადება მთაწმინდის გორაზედ ფუნიკულერის გაყვანის შესახებ, საჭიროდ იცნო ამორჩეულ იქმნას განსაკუთრებული კომისია ამ განცხადების განსახილველად. გამგეობასა და განსაკუთრებულ კომისიას ამ დღეებში ექმნება შეერთებული კრება ამ საქმის შესახებ.

⁂ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ოზურგეთის ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა სათანადო მთავრობის წინაშე სადგურ ნატანებიდგან ოზურგეთამდე ვიწრო ლიანდაგიან რკინის გზის შტოს გაყვანის შესახებ. ამ შუამდგომლობას განიხილავს ჯერ განსაკუთრებული კომისია, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თავმჯდომარეობით; რომელიც შემდეგ, უმაღლეს მთავრობას გაეგზავნება.

⁂ „ტფ. ფურც.“ ქუთაისიდგან ატყობინებენ, რომ იქ განუზრახავთ შეადგინონ ქვა-მადნების მწარმოებელი საზოგადოება. საზოგადოებას აზრადა აქვს უმთავრესად ქუთაისის გუბერნიის მადნების წარმოებას შეუდგეს.

⁂ მოიჯარადრეს ბ-ნს შირას განცხადება შეუტანია ქალაქის გამგეობაში იმის შესახებ, რომ იჯარით მიეცეს მას ქალაქის უმთავრესს ქუჩების ასფალტით დაგების საქმე.

⁂ ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორი მ. ი. ფიშერი სამსახურის საქმეებისა გამო ერთის თვით პეტერბურგში გაემგზავრა.

⁂ როგორც „კავკ.“-ი იუწყება, სასულიერო მთავრობას საჭიროდ უცვნია მარტყოფის ეკლესიის შეკეთება. საქართველოს ეგზარხოსის განკარგულებით შემდგარა განსაკუთრებული კომიტეტი, რომლისთვისაც ეს საქმე მიუნდვიათ. კომიტეტის თავმჯდომარედ ეგზარხოსს დაუნიშნავს მღვდელი კასიელ კოზმოვი. აზრადა აქვთ ეკლესია გარეშე შემოწირულებით განაახლონ.

⁂ პირველ იანვრიდგან მარტის პირველამდე ტფილისის სასაკლაოში დაუკლავთ სულ 20,499 წვრილ ფეხა და სხვილ-ფეხა საქონელი, ხოლო პირველ თებერვლიდგან პირველს მარტამდე ქალაქში გასასყიდად მოურეკიათ 2381 ხარი, 357 ძროხა, 88 კვებულა, 265 ხარ-კამეჩი და 85 ფურ-კამეჩი—სულ 3176 სული.

⁂ როგორც რუსული გაზ. იუწყებიან, შორაპნის მაზრის უფროსის თანაშემწე გამრეკელოვი დათხოვნილ იქმნა თავის თანამდებობიდგან და ჩარიცხულ იქმნა ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოში.

⁂ სოფ. აბაშა, (ქუთაისის მაზრა). მღვდელმა კონსტანტინე შანიძემ ყურადღება მიაქცია თავისის მრევლის დიდიხნის სურვილს და მისი თაოსნობით წარსულ ქრისტეშობისთვის უკანასკნელ რიცხვებში მისმა მრევლმა დაადგინა განაჩენი სამრევლო სკოლის დაარსების შესახებ. მამა კონსტანტინემ განაჩენი უკვე წარუდგინა დასამტკიცებლად სათანადო მთავრობას. სოფელს აზრად აქვს, მომავალი სკოლის შენობა ააგოს თავისუფალ სახაზინო ადგილზედ, რომელიც სკოლისათვის მოხერხებულ ადგილად არის ჩასათვლელი. მამა კონსტანტინეს რჩევით, სოფელმა გაიწერა შეძლების მიხედვით სულ ოცდა-ხუთი თუმანი სკოლის შენობის შესაძენად. თუმცა ეს ფული ვერ იყიდის სკოლისათვის შესაფერს სახლს, მაგრამ იმედი აქვს სოფელს, რომ ერთს ამდენს სასულიერო მთავრობა შეაწევს.

⁂ სიღნაღი. როგორც ვიცით, არც სიღნაღში და არც გარშემო სოფლებში ერთი წიგნთ-საცავ-სამკითხველოც-კი არ არსებობდა. ამ დიდის ნაკლის შევსება მოიწადინა სიღნაღის დეკანოზმა მამა ბეგიაშვილმა; რომელმაც სთხოვა სიღნაღის ოთხსავე საბლაღოჩინოს სამღვდელოებას მიეღოთ მონაწილეობა წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსების საქმეში და ყოველ-წლივ ორ-ორი მანეთი შემოეტანა თითოსა. ბევრმა სიამოვნებით თანაუგრძნო ამ ფრიად კეთილ საქმეს, მაგრამ ბლაღოჩინმა შ—მა თავისი საბლაღოჩინო სამღვდელოებით, სამწუხაროდ, უარი განაცხადა. ამის მიუხედავად დეკანოზმა ბეგიევმა საქმე დააგვირგვინა და ნებართვაც აიღო მთავრობისაგან. ამასთანავე მამა დეკანოზმა სამკითხველოს უსასყიდლოდ დაუთმო ქ. სიღნაღში თავისი საკუთარი სახლი.

⁂ ქიზიყი. რადგანაც წელს ნოეს დროინდელ დაუამინდებულ, დიდ-ძალ ჯაგმაგიან ადგილებს სტეხავენ ქიზიყელები მოსახნავად თამბაქოსათვის, ამიტომ შესამჩნევად დაძვირდა დღიური მუშა. ცხადად სჩანს, რომ სიღნაღის მაზრას ამ წელს წარსულ წელთან შედარებით ერთი ორად მეტი თამბაქოს პლანტაციები ექნება და საჭიროა ქიზიყის მეთამბაქოე მეცხვარეთაგან ამორჩეულმა კაცებმა მხნედ იზრუნონ და დადგენილ განაჩენების თანახმად, ამათ მწარმოებელთ რომელსამე ბანკში კრედიტი გაუხსნან ტფილისში ქიზიყის მატყლ-თამბაქოს საწყობების ასაშენებლად, ან დასაქირავებლად, თორემ იღუპება კერძო ვაჭარ-ჩარჩთა ჯადოსნურ აღებ-მიცემობისაგან წლის წლობამდე ქიზიყის მილიონების მატყლიცა და თამბაქოც ისევე, როგორც მისი ოქრო-ლალის ღვინო, სიმინდი და სხვა ათას გვარი ნაწარმოები მეურნეობისა. დროა საქმეს შევუდგეთ და დავიხსნათ ქვეყანა ქვეყნის დასაღუპად მოწყობილ აღებ-მიცემობისაგან. დიდად სასურველია, რომ ამ დიდ საქმეს შესაფერისი ყურადღება მიაქციონ ქვეყნის გულ-შემატკივართ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საბანკო კრებაზედ ამ თვეში, როდესაც ბანკიდგან დასაბრუნებელ ფულის შესახებ სჯა ბაასი ექმნებათ.

⁂ ორშაბათს, 6 მარტს, ტფილისის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელს დეპეშა მოსვლია ქალ. გუმბრიდგან, რომელშიაც ატყობინებენ, რომ აქაურმა ვაჭრის შვილმა ივანე ხოიცევმა მოიპარა 500 მან. ეს ხოიცევი პოლიციის მოხელემ ლაზარევმა მცხეთაში დააპატიმრა.

⁂ 1 მარტს ქ. სიღნაღში პოლიციას შეუპყრია ციმბირიდგან გამოქცეული სოფ. გურჯაანის მცხოვრები უტიაშვილი.

⁂ როგორც „ჩერნ. ვესტ.“ იუწყება, ოზურგეთის მაზრის სოფელ ჯუმათში—ჯუმათის მონასტერს გასჩენია ცეცხლი. მონასტერი გადაურჩენიათ ცეცხლისაგან, მხოლოდ ყავრის სახურავი დამწვარა.

⁂ ორშაბათს, 6 მარტს, პოლიციის მე-6 ნაწილის მცხოვრებმა კბილის ექიმმა შტრეიხმა განაცხადა პოლიციაში, რომ ჩემის სახლიდგან 1,500 მანეთად ღირებული ბრილიანტის ნივთები მომპარესო. როგორც პოლიციის გამოძიებას აღმოუჩენია, ეს ნივთები ბ-ნ შტრეიხის მოსამსახურეს მალაკნის ქალს მ. ჩერნიშევს მოეპარა. ნივთები უკვე აღმოაჩინეს და დაუბრუნეს პატრონს, დამნაშავე-კი დააპატიმრეს.

⁂ 5 მარტს, დიდის მთავრის ქუჩაზე, ისარლოვის სახლში, უეცრად გარდაიცვალა რაჭის მაზრის მცხოვრები დიმიტრი ზარიძე.

# უცხოეთი

## ინგლის-ტრანსვაალის ომი.

სამხრეთ-აფრიკიდგან, და განსაკუთრებით პრეტორიიდგან, მოსული ამბები უცვლელად ერთნაირად აღიარებს, რომ ბურებს გარდაუწყვეტიათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლონ თავისუფლებისთვისაო. როგორც ამბობენ, პრეზიდენტები კრიუგერი და შტეინი განგებ შეეკითხებიან სალისბურს სამშვიდობო პირობების შესახებ, რათა დაანახვებინათ თვიანთ თანამემამულეთათვის, რომ ინგლისი დამოუკიდებლობის წართმევას გვიპირებს და ამიტომ საჭიროა მომეტებულის თავგამოდებით ვიბრძოლოთო. ინგლისში ბევრს ეშინიან, რომ ტყვედ წაყვანილი ინგლისელები არ ამოხოცონ პრეტორიაშიო, და ამიტომ რობერტს ჰკიცხავენ, რომელმაც არ შეიწყნარა ბურების მთავრობის წინადადება იმის შესახებ, რომ ტყვეები გავუცვალოთ ერთმანეთსო. ინგლისის მთავრობა წმ. ელენეს კუნძულზე უპირებს გაგზავნას უკვე ტყვედ წაყვანილ ბურებს. ასეთს საქციელს იმით ამართლებენ, რომ ტყვეებმა ხშირად გაქცევა დააპირესო. ამას წინად აღმოუჩენიათ ინგლისელებს, რომ ტყვეები ღებულობდნენ თურმე წერილებს, ფულებს და საზამთროებში ჩადებულ რევოლვერებსაც.

— კარგა ხანია მას შემდეგ, რაც ხმა გავრცელდა, რომ გენერალ ჟუბერის კმაყოფილი არ არიან ბურებიო. ამის გამო აი რა უთქვამს ტრანსვაალის წარმომადგენელს ევროპაში—დოქტორს ლეიდსს:

— „მე არ ვფიქრობ, რომ პრეზიდენტმა კრიუგერმა გადააყენოს გენერალი ჟუბერი მთავარსარდლობიდგან. უკიდურეს შემთხვევაში შესაძლებელია რესპუბლიკის პრეზიდენტმა თითონ აიღოს თვალ-ყური ბრძოლის მიმდინარეობას და, როგორც სამხედრო საქმეებში გამოცდილმა კაცმა, დაეხმაროს ჟუბერს თავისის რჩევა-დარიგებით. არ უნდა დავივიწყოთ, რომ პრეზიდენტი კრიუგერი აფიცრად ნამყოფია და, სანამ სახელმწიფოს უფროსად გახდებოდა, რამდენიმე წლის განმავლობაში მთავარ-სარდლად იყო“.

— თუმცა ინგლისიდგან კიდევ იგზავნება ჯარები სამხრეთ-აფრიკაში, მაგრამ ინგლისის ზოგიერთი გაზეთები მაინც შიშობენ, ვაი თუ მთავრობამ რამე საბრალული გამოიჩინოს ბურებისადმიო. ამ გაზეთების აზრით, 1884 წ. ლონდონში დადებული ხელშეკრულობა სრულიად უნდა გაუქმდეს, ხოლო 1881 წ. ხელშეკრულობა არსებითად შეიცვალოს. ერთი სიტყვით, ინგლისის ჟურნალ-გაზეთების უმრავლესობა ტრანსვაალის დამოუკიდებლობის სრულიად მოსპობას თხოულობს. კაპის ახალშენის მეამბოხეთა დაუსჯელობაც-კი შეუძლებლად მიაჩნიათ. გარდა ამისა, ყველა გაზეთები იმ აზრის არიან, რომ ინგლისი თვიდგან ფეხამდის უნდა შეიარაღდეს, როგორც ზღვაში, ისე ხმელეთზე, რათა ვერავინ გაჰბედოს არა მარტო ომში ჩარევა, არამედ ისიც, რომ ურჩიოს ინგლისს—შებრალება იქონიე ბურებისადმიო.

თუმცა არც ერთს სახელმწიფოს არ ეტყობა, სურვილი ჰქონდეს სამხრეთ-აფრიკის საქმეში ჩაერიოს, მაგრამ, როგორც ეტყობა, ინგლისის საზოგადოება მაინც ყველას ეჭვის თვალით უცქერის. აი, მაგალითად, რას ამბობს ერთი გაზეთი: „არ უნდა დავივიწყოთ, რომ როცა მტერს დავამარცხებთ ბრძოლის ველზე, სახელმწიფოები წამოჰყოფენ თავს, რომელთანაც ანგარიშის გასწორება მოგვიხდება, რადგან ისინი, უთუოდ, მოიწადინებენ გავლენა იქონიონ სამშვიდობო მოლაპარაკების დროს. რათა იმათ ეს არ გაუბედვინოთ, ჩვენ ეხლავე ყოველივე ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ ჩვენმა ფლოტმა მიაღწიოს უმაღლეს სიძლიერემდისო“.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

როგორც ერთი გაზეთი გადმოგვცემს, იტალიის ქალაქ პეროლლოში სცხოვრობს ვინმე დალლარიდი-სკანდიანო, რომელსაც ხელები და ცალი ფეხი არა აქვს. დალლარი ამ ჟამად 25—27 წლის კაცია, ხელები და ფეხი დაბადებითვე არა ჰქონია. სამაგიეროდ ბუნებას ჰკუით უხვად დაუჯილდოვებია დალლარი: დალლარი კარგი მემუსიკე და სწავლულია. სამაგალითოდ უკრავს თურმე ეს უხელო კაცი ბანბარდონზედ ერთის მანქანის წყალობით, რომელიც თვითონვე გამოუგონია. დალლარი ყველა საქველ-მოქმედო კონცერტში იღებს მონაწილეობას და ხალხი აღტაცებაში მოჰყავს თურმე. მოდენის უნივერსიტეტში დალლარის საიურიდიო ფაკულტეტი გაუთავებია, ამ ჟამად დალლარი სამოსამართლო პალატის მდივანია და თავის თანამდებობას მშვენიერად ასრულებს. ეს უხელო მდივანი თავისს ერთად-ერთის ფეხით სამაგალითოდ სწერს თურმე.

* * *

როგორც გაზ. „Нов. Дня“ გადმოგვცემს, ამას წინად მოსკოვში ვინმე ჩ—ვის შვილი, თოთხმეტის წლის ბავშვი, მამის სახლიდგან წასულა. შინ ბავშვს ბარათი დაუტოვებია. ამ ბარათში ატყობინებს მამას, რომ ორის ჩემის ამხანაგებით ტრანსვაალში მივდივარ ბურებთანაო; თან შენი 200 მანეთიც მიმაქვსო.

* * *

გვატემალიდგან მეტად შემაძრწუნებელ ამბავს იუწყებიან. შარშან ერთს სკოლაში ეგზამენების გათავების შემდეგ, გაუმართავთ ბავშვებისათვის დღესასწაული, რომელიც აპოთეოზით დასრულებულა. აპოთეოზისათვის გაუმართავთ მაღლობი; ამ მაღლობზედ დაუყენებიათ მინევრის ტანისამოსში გამოწყობილი 12—13 წლის გოგო, სხვა ბავშვებით გარს შემოხვეული. მაღლობს ზევიდგან სახურავი ჰქონდა გადაფარებული. რაღაც მიზეზის გამო უცბად სახურავი წამოზნექილა. ბავშვებს რომ ზედ არ დასცემოდა ეს სახურავი, დარბაზში მსხდომნი, ბავშვების დედ-მამა და სხვები, წამომხტარან და მაღლობისაკენ გაქანებულან, რის გამო საშინელი ჭყლეტა, არეულობა და ყვირილი ამტყდარა. დღესასწაულს, სხვათა შორის, დასწრებია გვატემალის რესპუბლიკის პრეზიდენტი ესტრადო კაბრერა. პრეზიდენტს, ლაპარაკში გართულს, ვერ გაუგია არეულობის მიზეზი, ჰგონებია ჩემი მოკვლა უნდათო, და იქვე გამწკრივებულ რაზმისთვის უბრძანებია, ესროლეთ ხალხსაო. ჯარის კაცებსაც მსწრაფლ აუსრულებიათ უფროსის ბრძანება და თოფებს გრიალი აუტეხნიათ. მოუკლავთ 300-მდე მარტო ბავშვი. ბოლოს პრეზიდენტმა ყველაფერი გაიგო, მაგრამ გვიანღა იყო. დღემდის ამ ამბავს საიდუმლოდ ინახავდნენ: პრეზიდენტმა გაზეთებს აუკრძალა თურმე ამის შესახებ წერა; ცენზურა წერილებსაცკი ხსნიდა თურმე.

* * *

ამას წინად ქ. ნიცცას მახლობლად სოფ. ილონზოში, არწივს ერთი ძუძუ მწოვარა ბავშვი მოუტაცნია. ეს სოფელი მთაში ძალიან მაღლობ ადგილზედაა გაშენებული. მახლობელს კლდეებში ბლომად ბუდობენ თურმე არწივები. კარგა ხანია ერთი არწივი შესჩვევია სოფელს. არწივს წინა დღეს გოჭი მოუტაცნია, ხოლო მეორე დღეს— ბავშვი. დედ-მამა ამ დღეს გარედ მუშაობდნენ. აკვანი ბავშვით სახლის კარებ წინ დაუტოვებიათ. როდესაც დედა დაბრუნებულა, ბავშვი აკვანში აღარ უნახავს. ერთ მწყემსს უთქვამს, რომ თქვენის სახლიდგან აფრენილი არწივი დავინახე, რომელსაც კლანჭებში მოზრდილი რაღაც ეჭირა, უთუოდ ბავშვი იქმნებოდაო. მთელი სოფელი შესდგომია ბავშვის ძებნას ღრეკლდეებში, მაგრამ ვეღარსად უნახავთ. წინადაც არა ერთხელ ყოფილა ასეთი მაგალითი. სხვათა შორის, ამ ერთის წლის წინად არწივს შვეიცარიაშიაც მოუტაცნია ბავშვი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 მარტი

**ლონდონი.** „Times“-ს ლორენცო-მარკეზიდგან 6 მარტს დეპეშით აცნობებენ: „წარსულს ღამეს პორტუგალიის მთავრობამ საჩქაროდ გაგზავნა ერთი რაზმი ქვეითა ჯარისა ტრანსვაალის საზღვარზედ მეცხოვნე ჯარის გასაძლიერებლად“.

„Daily Chronicle“-ს აუწყებენ ბლუმფონტენიდგან, რომ 4 მარტს ცხენოსანი ჯარი იქმნა გაგზავნილი, რათა ოლივიეს რაზმს იარაღი ჩამოართვასო.

კრონშტატში ბურებს სამხედრო თათბირი ჰქონდათ.

„Times“-ს სწერენ მონტევიდეოდგან, რომ ხელშეკრულობა სამედიატორო სასამართლოს შესახებ არგენტინმა მოიწონა და გამოაქვეყნა კიდეცაო.

**ნიუ-იორკი.** გაზეთ „Herald“-ში გამოქვეყნებულია შემდეგი პრეტორიიდგან მიღებული დეპეშა: „კრიუგერმა ამასწინედ ერთს ჟურნალისტთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მას შემდეგ რაც ბურები იძულებულ იქმნენ ომი დაეწყოთ, ისინი ან გაიმარჯვებენ და ან მთლად დაიხოცებიან.“ „სხვა ხალხთაგან არავითარს შემწეობას არ მოველით“, სთქვა კრიუგერმა, მაგრამ მაინც სასიამოვნოდ მრჩება ის გარემოება, რომ მეგობრობასა და თანაგრძნობას მიცხადებენო. ტრანსვაალი ყოველს წუთს მზადაა ზავის დადებას, მაგრამ არ უნდა-კი არავითარი ხელშეკრულებანი. ერთად ერთი გზა ამ საქმის დასაბოლოვებლად ის არის, რომ სრულიად დამოუკიდებელნი ვიყვნეთ, ყოველს პირობასა და ხელშეკრულობას გარეშე. ჩვენ არ გვინდა ახალის ადგილების შეძენა, იმითიც კმაყოფილნი ვიქმნებით, თუ შეგვეძლება მშვიდობიანად ცხოვრებაო. ტრანსვაალი ზავის დადების დროს პირობას ჩამოართმევს, რომ ნატალ სა და კაპის ახალშენის აფრიკანდერები, რომელნიც ბურებთან ერთად იბრძოდნენ, მებრძოლ მოწინააღმდეგეებად იქმნენ აღიარებულნი და კანონიერად არავითარი ვნება არ მიადგეთ. როდესაც მთავრობამ შეიტყო, რომ კაპის ზოგიერთ აფრიკანდერებს კაპშტადტში სასჯელი გარდაუწყვიტეს, როგორც სახელმწიფო დამნაშავეთაო, მე დეპეშით შევატყობინე სოლისბიურის, რომ თუ ისინი სამხედრო ტყვეებად არ იქმნებიან მიჩნეულნი, ჩვენც ისევე მოვექცევით დატყვევებულ ბრიტანელებსაო. სოლისბიურმა მიპასუხა, თუ ერთს ტყვედ წაყვანილს ინგლისელს მაინც ხელს შეახებთ, იმის პასუხის-მგებლად პირადად თქვენ ჩაგთვლითო. ჩემის აზრით, ამითი იმისი თქმა უნდოდა, რომ ჩვენ, ინგლისელები, ჩამოგარჩობთო. ასეთი სასაცილო მუქარა, რასაკვირველია, ჩემის მოვალეობის აღსრულებას ვერ დამაშლევინებს. ტყვილია ის მითქმა-მოთქმა, ვითომც სამხრეთ აფრიკის ჰოლანდიელებს შეთქმულობა ჰქონდეთ. ორანჟეს რესპუბლიკამ ხელშეკრულებით იკისრა ჩვენი დახმარება. ბურები ღვთის ხელთ იმყოფებიან და უფალი არ დაჰკარგავს. ჩვენი ძლიერება 40,000 ჯარის-კაცს უდრის, მაგრამ წყალობითა ღვთისითა შეგვიძლიან გავიმარჯვოთ. ჩვენ აღთქმული გვაქვს—თავისუფლება, ან სიკვდილი. მე ტრანსვაალში ბრიტანიის ქონებას ვიცავდი და ამიერიდგანაც დავიცავ. ჩვენის აზრით, ამ ბრძოლაში ამერიკა ჩვენს მხარეს უნდა იყოს.

8 მარტი

**ბრიუსელი.** „Jndep. Belge“-ს ატყობინებენ, რომ კიტჩინერი ჯარით მეფეკინგში მიდისო. ამ ქალაქის განთავისუფლების შემდეგ, კიტჩინერი პირდაპირ პრეტორიაში წავა, ხოლო რობერტსი იმ ბურების წინააღმდეგ გაემართება, რომელნიც მდ. ვაალთან არიან.

**ლონდონი.** საღამოს გაზეთებს ატყობინებენ კაპშტადტიდგან, რომ კიტჩინერი პრისკაში შევიდა. მეამბოხენი ბრძოლას თავს ანებებენო.

**ვაშინგტონი.** სიმართლეს მოკლებულია „რეიტ. სააგენტოს“ მიერ გავრცელებული ამბავი, ვითომ ამერიკის სამხედრო გემი შანტუნგში წასულიყოს ამერიკელ მისიონერების დასაცველად ჩინელთა ძალ მომრეობისაგან. ასეთ ძალ მომრეობის შესახებ აქ ამ ბოლოს დროს არავითარი ამბავი არ მოსულა მართალია მხოლოდ ის, რომ ერთი გემი ტაკუში წავიდა. ამ გემმა სხვებთან ერთად დემონსტრაციაში მონაწილეობა უნდა მიიღოს იმ შემთხვევაში, თუ ჩინეთმა თანხმობა არ განაცხადა და არ ალაგმა ის ჩინელნი, რომელნიც ქრისტიანების წინააღმდეგ მოქმედებენ.

**კაპშტადტი.** გუბერნატორმა მილნერმა პროკლამაცია გამოსცა, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ ინგლისის მთავრობა კანონიერად არა სთვლის ტრანსვაალისა და ორანჟეს რესპუბლიკებში მიწების, ქვა-მადნების ან რკინის გზების გაყიდვას, აგრეთვე იმ კონცესსიებს და ვალდებულებათ, რომლებსაც ტრანსვაალის ან ორანჟეს მთავრობანი გასცემენო.

**ლონდონი.** გუშინ ბლუმფონტენიდგან გამოგზავნილ დეპეშაში რობერტსი იუწყება, რომ ორსავე პრეზიდენტისაგან მივიღე პასუხი ჩემის დეპეშისა: რომელიც წითელის ჯვრის წესების დარღვევას და ასაფეთქებელ ყუმბარების ხმარებას შეეხებოდაო. შტეინი აცხადებს, რომ ინგლისელები ბურების წინააღდეგ ასევე უკანონოდ იქცეოდნენო. ამასთან არწმუნებს რობერტს, რომ ასაფეთქებელ ყუმბარებს არ ვიძენთ და არა ვხმარობთ, ამიტომ ის ყუმბარები, რომელიც კრონიეს ბანაკში უნახავთ, ბურებმა ინგლისელებს წაართვესო. რობერტსი უმატებს, რომ რადგანაც აღმოჩნდა რომ შტეინის სიტყვები სიმართლეს მოკლებულია, ამიტომ სასურველად არა ვცნობ ამის შესახებ მიწერ-მოწერის გაგრძელებასაო.

**ლონდონი.** რობერტსი იუწყება ბლუმფონტენიდგან, რომ კიტჩინერმა პრისკა დაიჭირაო. ტრანსვაალელ ბურებმა მდინარის მეორე ნაპირას გადასვლა მოახერხეს. ტყვედ 32 კაცი ჩავიგდეთ, ამასთან წავართვით ბურებს 200 თოფი, ცოტაოდენი სურსათი და აგრეთვე ასაფეთქებელი ნივთიერებანი.

შტეინმა ინგლისის პროკლამაციის საწინააღმდეგო პროკლამაცია გამოსცა, რომელშიაც ღალატისთვის ემუქრება იმ ბურებს, ვინც ინგლისის წინააღმდეგ არ იბრძოლებენ. ასეთი მოღალატენი დახვრეტილი იქმნებიანო.

ბაზუტოსთა მიწა-ადგილის საზღვარზედ ბურები აჯანყდნენ.

**ბლუმფონტეინი.** ღამე ბურებმა ააფეთქეს რკინის გზის ხიდი მდინარე მოტერზედ ბლუმფონტენსა და ბრანდფორტოამს შუა.

**ლონდონი.** გენერალის კარრინგტონის უფროსობით უნდა შესდგეს ახალი ლაშქარი. ამ ლაშქარში 5000 კაცი იქმნება. კარრინგტონმა უნდა ხელი შეუშალოს იმ ბურებს, რომელნიც როდეზიაზედან სხვა, ჩრდილოეთით მდებარე, ადგილებზედ თავს დასხმას მოიწადინებენ. ეს ლაშქარი ახალშენელებისაგან იქმნება შემდგარი. ერთი ნაწილი ჯარისა უკვე სამხრეთ აფრიკაშია, მეორე ნაწილიც გზაშია. თვით კარრინგტონი შაბათს წავიდა კაპში.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. გენნიკერ გიტონი შეეკითხა მთავრობას, ბურებს მართლა განუზრახავთ თუ არა ააფეთქონ ან ცეცხლი წაუკიდონ იოჰანესბურგს, ხოლო თუ ეს მართალია, შაეტყობინეს თუ არა ბურებს, რომ ომის დროს ინგლისელთა ქონების განადგურებისათვის პასუხი უნდა აგონ და რომ მათვე გადაახდევინებენ ზარალსაო. უინდგენმა მიუგო, რომ ეგ საქმე სამხედრო სამინისტროს არ შეეხება, მაგრამ გავიგე კი, რომ ჩემბერლენს აზრადა აქვს ამის შესახებ პროკლამაცია გამოსცესო.

პეტერბურგის ბირჟა, 7 მარტი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5% ს. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | $220\frac{1}{2}$ |
| $3\frac{1}{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | | — „ | $91\frac{5}{8}$ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 100 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $97\frac{1}{2}$ | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | 99 | — „ |
| $4\frac{1}{2}$% იმავე ბანკისა | — „ | — „ | $90\frac{3}{8}$ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — „ | — „ | $97\frac{5}{8}$ |
| $4\frac{1}{2}$% იმავე საზოგადოებისა. . . | | 92 „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | $299\frac{1}{2}$ | — „ | 298 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მოგებიანი ბილეთი | — „ | — „ | $261\frac{1}{4}$ |

## შემოწირულება

მღვდელმა კონსტანტინე ანთაძემ შემოსწირა 10 მანეთი, აქედგან 6 მანეთი ახალქალაქის მაზრაში მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ, ხოლო 4 მანეთი მცხეთის საპატრიარქო ტაძრის განსაახლებლად.

აქამდე რედაქციამ ახალქალაქში დაზარებულთა სასარგებლოდ მიიღო სულ 625 მან. 95 კაპ. ფულით გახდა 631 მ. 95 კ.

# განცხადებანი


ჰკუმუნის [illegible]

ა. ს. ნოდ[illegible]

[illegible] 1892 წლიდან 1899 წლამდე [illegible]

[illegible]

[illegible]

(30—44—11)

**რადგანაც განვიზრახე მოვსპო სამეურნეო მანქანებით ვაჭრობა, აგრეთვე გავაუქმო მაღაზია,** რომელიც მიხეილის პროსპექტზედ, №№ 79-ა და 79-ბ, საკუთარ სახლშია, ამიტომ ვნიშნავ 6 მარტისათვის საზოგადო გაჭრობას ყველა ნივთებისას. გაიყიდება შემდეგი ნივთები: წყლის ამოსაღები, სანიავებელი, ხორბლისა და ბამბის საწმენდი მანქანები, გუთნები, ღვინის საწურავები, სამკალი მანქანები, ტყავის ნაწარმოები, დანები, მაკრატლები, ლამფები და სხვა.

ყველა ნივთები ნაღდ ფულზედ გაიყიდება, საფქვავ და თვით-მოსიარულე ომნიბუსის გარდა, რომლების ფასიც შეიძლება მყიდველმა ნაწილ-ნაწილ შემოიტანოს.—მაღაზია, საწყობი და სარდაფი ქირით იძლევა.—აზრადა მაქვს შემდეგში მხოლოდ იჯარები ავიღო და მსურველთათვის მანქანები და სხვა და სხვა საქონელი გამოვიწერო. ჩემი კანტორა მოთავსებული იქმნება ჩემის სახლის ეზოში მიხეილის პროსპექტზედ.

(10—6.—4) გ. ა. კრაუზე.




(50—267—12)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




**ახალი საშუალება**

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

**„კვერცხის რძე“**

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ მისაწვდენია:** დიდი ქილა —2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხადზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ პოსტით გაეგზავნებათ. (100—150—85)